

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12
2020 წლის 28 დეკემბერი

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N13 დადგენილებაში (სსმ 30/12/2019 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.131.016295) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი

თავი I

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ლარი)

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	32 049 447	37,401,465	32,545,841	32,545,841	-
გადასახადები	4 230 661	15,063,746	13,230,307	13,230,307	
გრანტები	25 069 092	17,534,150	16,976,034	16,976,034	
სხვაშემოსავლები	2 749 694	4,803,570	2,339,500	2,339,500	
ხარჯები	15 540 838	16,787,660	19,746,847	19,746,847	-
შრომის ანაზღაურება	7 235 789	7,814,476	2,159,719	2,159,719	-



საქონელი და მომსახურება	4 036 967	4,791,836	1,932,097	1,932,097	-
პროცენტი	298 786	396,024	266,206	266,206	-
სუბსიდიები	1 075 880	1,012,698	10,214,552	10,214,552	-
გრანტები	-	799,599	4,100	4,100	-
სოციალური უზრუნველყოფა	751 683	614,474	782,381	782,381	-
სხვა ხარჯები	2 141 734	1,358,554	4,387,792	4,387,792	-
საოპერაციოსალო	16 508 609	20,613,805	12,798,994	12,798,994	-
არაფინანსური აქტივების ცვლილება	15 526 403	15,987,356	14,275,528	14,275,528	-
ზრდა	15 727 627	16,132,415	14,299,653	14,299,653	-
კლება	201 224	145,059	24,125	24,125	-
მთლიანისალო	982 205	-1,612,002	-1,476,534	-1,476,534	-
ფინანსური აქტივების ცვლილება	-202 973	-3,119,225	- 3,471,275	-3,471,275	-
ზრდა	44 200	-	-	-	-
ვალუტა, დეპოზიტები			-		
აქციები და სხვა კაპიტალი	44 200	-	-	-	-
კლება	247 173	3,119,225	3,471,275	3,471,275	-
ვალუტა, დეპოზიტები	247 173	3,119,225	3,471,275	3,471,275	-
ვალდებულებების ცვლილება	-1 185 178	-1,507,224	-1,994,741	-1,994,741	-
ზრდა	-	-	-		
კლება	1 185 178	1,507,224	1,994,741	1,994,741	-
ბალანსი	-	-	-	-	-

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	32 250 671	37,546,524	32,569,966	32,569,966	-
შემოსავლები	32 049 447	37,401,465	32,545,841	32,545,841	
არაფინანსური აქტივების კლება	201 224	145,059	24,125	24,125	
ფინანსური აქტივების კლება	-	-	-	-	



(ნაშთისგამოკლებით)					
გადასახდელები	32 497 844	34,427,299	36,041,241	36,041,241	-
ხარჯები	15 540 838	16,787,660	19,746,847	19,746,847	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	15 727 627	16,132,415	14,299,653	14,299,653	-
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	44 200	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	1 185 178	1,507,224	1,994,741	1,994,741	-
ნაშთისცვლილება	- 247 173	3,119,225	- 3,471,275	- 3,471,275	-

მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	32 250 671	37,546,524	32,569,966	32,569,966	-
შემოსავლები	32 049 447	37,401,465	32,545,841	32,545,841	
არაფინანსური აქტივების კლება	201 224	145,059	24,125	24,125	
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთისგამოკლებით)	-	-	-	-	
გადასახდელები	32 497 844	34,427,299	36,041,241	36,041,241	-
ხარჯები	15 540 838	16,787,660	19,746,847	19,746,847	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	15 727 627	16,132,415	14,299,653	14,299,653	-
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	44 200	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	1 185 178	1,507,224	1,994,741	1,994,741	-
ნაშთის ცვლილება	- 247 173	3,119,225	- 3,471,275	- 3,471,275	-

თავი II

მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
 განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 32 545 841 ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
------------	-----------------	-----------------	-----------------



შემოსავლები	32 049 447	37,401,465	32,545,841
გადასახადები	4 230 661	15,063,746	13,230,307
გრანტები	25 069 092	17,534,150	16,976,034
სხვა შემოსავლები	2 749 694	4,803,570	2,339,500

მუხლი 4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 13 230 307 ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
გადასახადები	4 230 661	15,063,746	13,230,307
საშემოსავლო გადასახადი	772 658		
დამატებული ღირებულების გადასახადი		9,755,057	9,927,300
ქონების გადასახადი	3 458 003	5,308,689	3,303,007

მუხლი 5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 16 976 034 ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
გრანტები	25 069 092	17,534,150	16,976, 034
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	25 069 092	17,534,150	16,976,034
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი	6 443 200		
სპეციალური ტრანსფერი	4 260 910	2,608,785	7,843,065
მ.შ. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები		171,600	
მ.შ. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი			5,285,000
მ.შ. აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	2 894 928	618,120	2,558,065
მ.შ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	1 365 982	1,819,065	
კაპიტალური ტრანსფერი	14 364 982	14,925,365	9,132,969
აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	14 364 982	14,925,365	9,132,969



მუხლი 6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 339 500 ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2 749 694	4,803,570	2,339,500
შემოსავლები საკუთრებიდან	513 868	780,590	400,860
პროცენტები	93 622	219,859	162,416
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	93 622	219,859	162,416
რენტა	420 246	560,731	238,444
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	84 882	176,891	120,000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობადასხვა) გადაცემიდან	335 364	383,841	118,444
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	789 513	738,535	654,340
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	629 152	613,344	579,200
სანებართვო მოსაკრებელი	173 599	223,511	426,700
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ანბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	173 599	223,511	426,700
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	6	664	
სათამაშობი ზნესის მოსაკრებელი	162 192	86,000	2,500
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	293 355	303,170	150,000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	160 361	125,191	75,140
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	160 361	125,191	75,140
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	1 249 831	1,717,029	1,100,000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	196 482	1,567,416	184,300

თავი III

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 19 746 847 ლარის ოდენობით თანადართული რედაქციით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები



ხარჯები	15 540 839	16,787,661	19,746,847	19,746,847	-
შრომის ანაზღაურება	7 235 789	7,814,476	2,159,719	2,159,719	-
საქონელი და მომსახურება	4 036 967	4,791,836	1,932,097	1,932,097	-
პროცენტი	298 786	396,024	266,206	266,206	-
სუბსიდიები	1 075 880	1,012,698	10,214,552	10,214,552	-
სოციალური უზრუნველყოფა	751 683	799,599	4,100	4,100	-
სხვა ხარჯი	2 141 734	614,474	782,381	782,381	-

მუხლი 8. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
14 275 528 ლარის ოდენობით მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **14 299 653** ლარის ოდენობით, თანადართული რედაქციით;

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,276,130	31,325	74,791	74,791	-
მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,189	8,466	1,200	1,200	-
მუნიციპალიტეტის მერია	3,861	17,484	73,591	73,591	-
მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	1,271,080	-	-	-	-
ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვითი ნაგებობის რეაბილიტაცია	1,271,080	-	-	-	-
დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი	-	5,375	-	-	-
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	12,545,037	14,370,926	10,891,449	10,891,449	-
საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	7,213,014	7,476,951	5,299,351	5,299,351	-
ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა	6,428,521	6,889,447	4,669,905	4,669,905	-
ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს ჯებირისა, სანაპიროს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობა	629,749	449,039	-	-	-
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელეების რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელეების მოწყობა	154,744	34,485	53,600	53,600	-



გარე განათების ღონისძიებები	-	103,980	575,846	575,846	-
კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3,728,377	1,957,746	1,579,430	1,579,430	-
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები	226,245	-	390,000	390,000	-
წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	3,161,326	1,010,086	706,391	706,391	-
სანიადვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა	340,806	422,880	95,355	95,355	-
სპეც. ტექნიკის (1 ერთეული არხმწმენდი და 1 ერთეული ნაგავმზიდი) შეძენა	-	524,780	-	-	-
სპეც. ტექნიკის (1 ერთეული სატვირთო და 1 ერთეული უნუვერსალური ექსკავატორი) შეძენა	-	-	387684	387684	-
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები	1,603,646	4,798,949	3,451,029	3,451,029	-
სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები	67,598	3,995,341	3,139,492	3,139,492	-
მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები	302,028	684,138	69,537	69,537	-
დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის ქუჩა N9-32-34-36-38-25-45-62-64 ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები პკ.0+00-პკ.4+90	1,189,276	-	-	-	-
საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	44,744	119,470	242,000	242,000	-
მაღალმთიანი დასახლების განვითარების პროგრამა	-	137,280	34,320	34,320	-
ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	-	-	527,319	527,319	-
დასუფთავება და გარემოს დაცვა	289,676	258,325	133,160	133,160	-
მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები	275,739	217,000	130,500	130,500	-
გამწვანების ღონისძიებები	13,937	41,325	2,660	2,660	-
განათლება	1,192,532	78,367	2,136,851	2,136,851	-
ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება	6,720	5,511	7,380	7,380	-
საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა	1,185,812	72,856	2,129,471	2,129,471	-
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	421,222	589,226	1,062,522	1,062,522	-
სპორტის განვითარების ხელშეწყობა	421,222	537,446	1,035,919	1,035,919	-
ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა	1,000	1,750	-	-	-
სპორტული მოედნების მოწყობა	420,222	535,696	1,035,919	1,035,919	-
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	-	51,780	26,603	26,603	-



ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა"	-	-	24,753	24,753	-
ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი	-	2,700	-	-	-
ა(ა)იპ ქობულეთის პარკი	-	20,922	-	-	-
კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	-	23,668	-	-	-
ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი	-	4,490	1,850	1,850	-
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,030	1,055	880	880	-
ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები	730	1,055	880	880	-
ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი	730	1,055	880	880	-
სოციალური დაცვის ღონისძიებები	2,300	-	-	-	-
სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა	2,300	-	-	-	-
ჯამი	15,727,626	15,329,224	14,299,653	14,299,653	-

ბ) განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 24 125 ლარის ოდენობით,;

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	201224	145,059	24,125	24,125	-
ძირითადი აქტივები		488	2,250	2,250	
არაწარმოებული აქტივები	201224	144,571	21,875	21,875	-
მიწა	201224	144,571	21,875	21,875	

მუხლი 9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
 განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა **34046500** ფუნქციონალურ ჭრილში, თანადართული რედაქციით.

(ლარი)

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 220 288	4,672,563	4,042,764
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 649 391	3,474,815	3,362,948



70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 643 157	3,452,520	3,047,948
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	6 234	22,295	315,000
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1 570 897	1,197,748	679,816
702	თავდაცვა	117 031	119,389	123,800
7021	შეიარაღებული ძალები	117 031	119,389	123,800
704	ეკონომიკური საქმიანობა	9 137 605	7,929,276	6,808,669
7045	ტრანსპორტი	9 137 605	7,929,276	6,808,669
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	9 137 605	7,929,276	6,808,669
705	გარემოს დაცვა	2 578 317	2,897,741	2,620,619
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	2 237 511	2,474,861	2,525,264
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	340 806	422,880	95,355
706	საზინაო-კომუნალური მეურნეობა	7 393 085	9,874,435	10,873,995
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 792 301	5,219,570	5,733,299
7063	წყალმომარაგება	4 513 236	2,301,929	2,350,549
7064	გარე განათება	730 596	907,966	1,441,346
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზინაო-კომუნალურ მეურნეობაში	356 951	1,444,970	1,348,801
707	ჯანმრთელობის დაცვა	530 856	448,236	743,600
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	530 856	448,236	743,600
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 639 361	2,057,661	2,325,398
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	801 347	989,349	1,403,203
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	838 014	1,068,312	922,195
709	განათლება	4 930 272	4,209,559	6,063,825
7091	სკოლამდელი აღზრდა	3 048 505	3,444,101	3,233,015
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 881 767	765,458	2,830,810
710	სოციალური დაცვა	721 653	711,216	443,830
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	208 628	170,888	200,000
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	513 025	540,328	243,830
	მთლიანი ხარჯები	31 268 466	32,920,076	34,046,500



თავი IV

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	16 508 609	20,613,805	12,798,994
მთლიანი სალდო	982 205	-1,612,002	-1,476,534

მუხლი 11. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1) განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -3471275 ლარის ოდენობით:

2) განისაზღვრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ზრდა	44 200	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	44 200	-	-

3) განისაზღვრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების კლება 3 471 275 ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების კლება	247 173	3,119,225	3,471,275
ვალუტა და დეპოზიტები	247 173	3,119,225	3,471,275

მუხლი 12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1) განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 1 994 741 ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	-1 185 178	-15 072 24	-1 994 741
ზრდა		-	-
საშინაო			
კლება	1 185 178	1 507 224	1 994 741
საშინაო	1 185 178	1 507 224	1 994 741

მუხლი 13. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 310 000 ლარის ოდენობით.

თავი V

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ ქვეპროგრამები



მუხლი 14. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

* ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

* დასუფთავება და გარემოს დაცვა;

* განათლების ხელშეწყობა;

* კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;

* მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

1	<p align="center">წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)</p> <p>პროგრამის მიზანი: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა.</p> <p>პროგრამის აღწერა: აღნიშნული ხარჯები ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ მუშაობას, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისათვის საჭირო ადმინისტრაციული ხარჯები. ასევე, მოიცავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურების დაფარვის ხარჯებს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯებს, დამოუკიდებელი აუდიტორიული დასკვნებისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯებს.</p>
1.1	<p align="center">სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 03)</p> <p>პროგრამის მიზანი:</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსება.</p> <p>პროგრამის აღწერა:</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საჭიროების შემთხვევაში გაუთვალისწინებელი (სტიქიური მოვლენებისა და ფორსმაჟორული სიტუაციების), გადაუდებელი გადასახდელების ეფექტური და შეუფერხებლად დაფინანსება.</p>
1.2	<p align="center">მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 04)</p> <p>პროგრამის მიზანი:</p> <p>მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა.</p> <p>პროგრამის აღწერა:</p> <p>მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, მუნიციპალიტეტში სხვადასხვა წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას თანადაფინანსებისა და მიღებულ სესხებზე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა.</p>
2	<p align="center">პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00)</p> <p>მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, განხორციელდება ქალაქის, დაბებისა და სოფლების, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაცია, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები.</p>
	<p align="center">საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 01)</p> <p>პროგრამის მიზანი:</p> <p>საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება და სრულყოფა. გზის გამტარუნარიანობისა და საგზაო</p>



უსაფრთხოების გაზრდა, სამგზავრო დროის შემცირება.

პროგრამის აღწერა:

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება

2.1

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელელების რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელეების მოწყობა;

მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის: ნაპირსამაგრი, საძირკვლების, ჯარგვალისა და ფერდსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები, მდინარის კალაპოტების გასწორებაზოვნება);

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურება;

გარე განათების ღონისძიებები;

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების – სამუშაოები.

ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 01 01)

ქვეპროგრამის მიზანი:

საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება და სრულყოფა. გზის გამტარუნარიანობისა და საგზაო უსაფრთხოების გაზრდა, სამგზავრო დროისა და სატრანსპორტო საშუალებების საოპერაციო ხარჯების შემცირება.

ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში შიდა საქალაქო ქუჩების, გადასასვლელებისა და ტროტუარების მოწყობას. კერძოდ: შიდა ქუჩების ტროტუარების, ველობილიკების, ავტობუსების გაჩერებების შეჭრების მოწყობას. სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების სამუშაოებსა და ქუჩების მოსაფლავების სამუშაოების განხორციელებას; დეკორატიული ფილებით მოპირკეთებას, ასევე შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმას. აგრეთვე პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასოფლებში გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებს

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

2.1.1

დაბა ჩაქვი „ოაზისის“ მიმდებარედ გზაგამტარის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (გარდამავალი პროექტი 2019-2020 წწ.);

ქალაქ ქობულეთში კაფე ედემთან (რუსთაველიდან აღმაშენებელზე და აღმაშენებლიდან ზღვაზე) გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოები;

დაბა ჩაქვის ცენტრის კეთილმოწყობა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოკამერების შექმნა/მონტაჟი

ვიდეოკამერების ექსპლოატაცია;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობა;

ქ. ქობულეთში არსებული ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადასასვლელების (კომახიდის ქუჩაზე საფეხმავლო გადასასვლელი, მეგობრობის ქუჩის ზღვაზე გადასასვლელი, რუსთაველის ქ. №160 ზ-დან კომახიდის ქ. №100-მდე გადასასვლელი, რუსთაველის ქუჩა №266-268 შესასვლელი გზა, რუსთაველის ქ. №138-დან კომახიდის ქ. №140ჟ-მდე) კეთილმოწყობა;

ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელეების რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელეების მოწყობა



2.1.2

ქვეპროგრამის მიზანი:

საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსაცდელელების მოწყობას.

2.1.3

ქვეპროგრამის მიზანი:

მდინარეების შესართავებთან ტერიტორიის მოწესრიგება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ზამთარში ძლიერი შტორმის შედეგად მდინარეებმა კალაპოტი შეიცვალა და სანაპიროს ტერიტორია დააზიანა. მდინარე კინტრიშის და მდინარე დეხვას შესართავთან ტერიტორიის მოსაწესრიგებლად სამუშაოები გატარდება.

მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის: ნაპირსამაგრი, სამირკვლების, ჯარგვალისა და ფერდსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები, მდინარის კალაპოტების გასწორებაზოვნება.) (პროგრამული კოდი 02 01 04)

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურება

(პროგრამული კოდი 02 01 05)

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალური საატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის აღწერა:

2.1.4

ქობულეთის ტრანსპორტირება მიმდინარე ეტაპზე უზრუნველყოფს მგზავრთა რეგულარულ გადაყვანას რაიონის სხვადასხვა მიმართულებით და ქალაქ ბათუმში. თვის განმავლობაში კომპანიის მიერ მოსახლეობი-სადმი გაწეული მომსახურება შეადგენს საშუალოდ 21500 მგზავრთა ბრუნვას ჩვენ ვემსახურებით 7 სამარშუტო ხაზს. ესენია: ჯიხანჯური-ბათუმი, აჭყვისთავი-ბათუმი, ჩოლოქის მეურნეობა-ბათუმი, დაგვა-ქობულეთი, ზედა ხუცუბანი-ქობულეთი, რკინიგზის სადგური – აღმაშენებლის ქუჩა და რკინიგზის სადგური -რუსთაველის ქუჩა (ორი ავტობუსი) ყოველდღიურად საშუალოდ 720-750 მგზავრს ვემსახურებით და შემოსავალი შეადგენს 425 ლარს, ხოლო ხარჯი 1238 ლარს. აქედან გამომდინარე ყოველდღიური ზარალი შეადგენს 813 ლარს. ამიტომ მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას შეინარჩუნოს მგზავრობის ფიქსირებული მინიმალური საფასური. არსებული ფინანსური გაანგარიშებით საწარმოს შემოსავლები არ არის საკმარისი შეუფერხებელი მუშაობისათვის. საწვავისა და სათა-დარიგო ნაწილების ფასის მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე საწარმოს შემოსავლები ხარჯებთან მიმარ-თებაში უარყოფითია. ქვეპროგრამა ითვალისწინებს წლის განმავლობაში ცალკეული თვეების მიხედვით საატრანსპორტო კომპანიის მიერ წარმოქმნილი საოპერაციო დეფიციტის დაფარვას.

გარე განათების ღონისძიებები

(პროგრამული კოდი 02 01 06)

ქვეპროგრამის მიზანი:

გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამის აღწერა:

გარე განათების წერტილების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლოატაცია და



2.1.5	<p>მოხმარებული ელ. ენერჯის საფასურის დაფარვა; ქუჩების განათების სამუშაოები და ელ. ენერჯის ქსელში ჩართვა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <p>გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ქაქუთი, გვარა, სოფელი ქობულეთი-კოხი, კვირიკე-მუხნარი, ახალსოფლის დასახლება, დაგვა მუხაესტატე-ალამბარი) გარე განათების მოწყობა</p> <p>ქალაქ ქობულეთში, ზღვის სანაპირო ზოლში (1 კმ) გარე განათების მოწყობა;</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობა.</p>
2.1.6	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების – სამუშაოები (პროგრამული კოდი 02 01 08)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უხვი ნალექის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესებით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის მიზნით განხორციელდება ფერდსამაგრი სამუშაოების ჩატარება.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების – სამუშაოები</p>
2.2	<p>კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)</p> <p>პროგრამის მიზანი:</p> <p>ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.</p> <p>პროგრამის აღწერა:</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <p>2.2.1 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები;</p> <p>წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია;</p> <p>სანიადრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა – რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა;</p> <p>უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი;</p> <p>შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური;</p> <p>სპეც. ტექნიკის შეძენა.</p>
2.2.1	<p>მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები(პროგრამული კოდი 02 02 01)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მოწესრიგება: სახურავების გადახურვა და ლიფტების მოწყობა.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების გადახურვის სამუშაოები, აგრეთვე 6 მრავალბინიანი საცხოვრებელ კორპუსში დამონტაჟდება 12 ახალი ლიფტი და სოფელ მუხაესტატეში (ყოფილი ჩაის ფაბრიკის ბინები) ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ახალი სახურავის და კიბის მოწყობის სამუშაოები.</p> <p>2.2.1 პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p>



მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებულ 6 მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში 12 ახალი ლიფტის მოწყობა;

სოფელ მუხაესტატში (ყოფილი ჩაის ფაბრიკის ბინები) ხანძრის შედეგად განადგურებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავისა და კიბის სარეაბილიტაციო სამუშაოებ;

ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ჩაის ფაბრიკის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა;

ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ვილარის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა.

წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 02 03)

ქვეპროგრამის მიზანი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წლით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

2.2.2

პროგრამით მოხდება ყველა იმ აუცილებელი ხარჯის დაფინანსება, რომელიც მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების განხორციელებას, ამორტიზირებული წყლის მიწების პერიოდულ შეცვლას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან, წყლის დებეტის გაზრდის მიზნით სოფლებში წყალსადენის სისტემებზე მოეწყობა ჭაბურღულები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყალსადენს სამარაგო რეზერვუარს, ასევე განხორციელდება შპს «ქობულეთის წყლის» სუბსიდირება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ციხისძირი, ქვ. კონდიდი) წყალსადენის სისტემაზე ჭაბურღილების მოწყობა;

შპს «ქობულეთის წყალი»;

ა(ა)იპ «ქობულეთის სოფლის წყალი»;

სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა – რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02 04)

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება,

ქვეპროგრამის აღწერა:

პროექტის ფარგლებში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში მოეწყობა ახალი საკანალიზაციო სისტემა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ქალაქ ქობულეთში, ჯავახიშვილის ქ. №2-ში საკანალიზაციო სისტემის მოწყობას;

ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა №162; აღმაშენებლის ქ. №94; რუსთაველის ქ. №138 ა; რუსთაველის ქ. №140; რუსთაველის ქ. №158; ვერულიძის ქ. №9; აღმაშენებლის ქ. №112-ში საკანალიზაციო მაგისტრალური სისტემის მოწყობა/რეაბილიტაცია.

2.2.3

უკანონომიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი

(პროგრამული კოდი 02 02 05)

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გაწმენდაუნებართვო, უსახური, ამორტიზირებული შენობა ნაგებობებისაგან.

2.2.4

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უნებართვო, უსახური და ამორტიზირებული



შენიშვნა – ნაგებობების (მიშენებების) სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებას.

შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური (პროგრამული კოდი 02 02 06)

ქვეპროგრამის მიზანი:

მაღალი რისკის ზონებში დერატიზაცია-დეზინსექციის ჩატარება.

2.2.5

ქვეპროგრამის აღწერა:

დაგეგმილი პროფილაქტიკური სადეზინსექციო სამუშაოების ჩატარება დაკავშირებულია მავნე მწერებისა და მღრნელების მაქსიმალურ შემცირებასთან მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. სამუშაოები ჩატარდება შემდეგი მიმართულებით: 1. მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და სარდაფების დეზინსექციათვეში ერთჯერ, თებერვალი-ოქტომბერი; 2. მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და სარდაფების დერატიზაცია თვეში ერთჯერ, თებერვალი-ოქტომბერი.

სპეც. ტექნიკის (1 ერთეული სატვირთო და 1 ერთეული უწყვერსალური ექსკავატორი) შეძენა (პროგრამული კოდი 02 02 08)

ქვეპროგრამის მიზანი:

სანიაღვრე /საკანალიზაციო სისტემების და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.

2.2.6

პროგრამის აღწერა:

შემენილი იქნება შემენილი იქნება 1 ერთეული სატვირთო და 1 ერთეული უწყვერსალური ექსკავატორი

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის მიზანი:

ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემო

პროგრამის აღწერა:

პროგრამა მოიცავს შენობა ნაგებობების მშენებლობას, რომლის ფარგლებში მოეწყობა სოფლებში ადმინისტრაციულ შენობები, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

3.3

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები;

მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები;

საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა;

აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი.

სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 02 03 01)

ქვეპროგრამის მიზანი:

სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოება

ქვეპროგრამის აღწერა:

პარკებისა და სკვერების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:



3.3.1	<p>ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობა (II ეტაპი);</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ჯავახიშვილის ქ. №51; თავისუფლების №90) ეზოების ტერიტორიაზე სკვერის კეთილმოწყობა;</p> <p>დაბა ჩაქვი მ. აბაშიძის ქ. №11-ში ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა;</p> <p>ქ. ქობულეთში, პოპოვის ქუჩა №28-თან მისასვლელისა და ეზოს/სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები;</p> <p>ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობა (I ეტაპი) (გარდამავალი პროექტი 2019 – 2020 წწ.);</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მემორიალების მოწყობის სამუშაოები;</p> <p>ქობულეთის სანაპიროსთვის დეკორატიული საპარკე სკამების შექმნა (214 ერთეული);</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებსა და პარკებში განსათავსებლად ფანჩატურების მოწყობა (17 ერთეული);</p> <p>დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული შენობის, ქ. ქობულეთში სასწრაფოს ეზოს, სოფელ ცეცხლაურში 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა სკვერის და ჭახათის ცენტრის კეთილმოწყობა;</p> <p>ქ. ქობულეთში არსებული 9 აპრილის სკვერში მემორიალის მოწყობა.</p>
3.3.2	<p>მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები(პროგრამული კოდი 02 03 02)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/მშენებლობა (გაზიფიცირება)</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციულ შენობის გაზიფიცირებასა და ქობულეთის სანაპირო ზოლში (7 ერთეული) საშხაპეების მოწყობას;</p> <p>სოფელ ლედვას ადმინისტრაციულ შენობაში სამედიცინო პუნქტისათვის ოთახებისა და სველი წერტილის მოწყობა;</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა აჭყვაში სალექციო დარბაზის მოწყობა;</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გორგაძეებში ზურაბ გორგილამის სახლმუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები (გარდამავალი პროექტი 2019-2020 წწ.).</p>
3.3.3	<p>საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა (პროგრამული კოდი 02 03 04)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>სამომავლოდ განსახორციელებელი სხვადასხვა პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება</p>
3.3.4	<p>აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი (პროგრამული კოდი 02 03 05)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტური მართვა</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ხაზობრივ ნაგებობების აზომვითი ნახაზების მომზადება და მისი შემდგომი მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება ხელს შეუწყობს არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განკარგვას.</p>



მაღალმთიანი დასახლების განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 02 08)

ქვეპროგრამის მიზანი:

3.4

ელექტროენერჯის გარეშე არსებულ დასახლებებში მაცხოვრებლებისათვის მზის პანალების საშუალებით ელექტროენერჯის მიწოდება.

ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის შეძენილი იქნება 12 ერთეული მზის პანელები

თუნუქის შეძენა (პროგრამული კოდი 02 09)

ქვეპროგრამის მიზანი:

3.5

სახურავისა და ფერდეს მოსაწყობად თუნუქის შესყიდვა

ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის მოსახლებისათვის შეძენილი იქნება სახურავისა და ფერდეს მოსაწყობად საჭირო მასალა.

ინფრასტრუქტურის ობიექტების ადდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) (პროგრამული კოდი 02 10)

ქვეპროგრამის მიზანი:

3.6

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანი სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარებაა. პროგრამის მთავარი დანიშნულება, გარდა სოფლის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებისა, არის სოფლების დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობის უნარების განვითარება. ეს გულისხმობს დასაფინანსებელ პრიორიტეტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას ადგილზე – სოფლის მოსახლეობის მიერ, სოფლის კრებებზე.

ქვეპროგრამის აღწერა:

სოფლის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში პრიორიტეტულ მიმართულებებად რჩება სოფლის ინფრასტრუქტურული საჭიროებები, გზები, განათვა, სასმელი წყლის რეაბილიტაცია და ა.შ.

4

პრიორიტეტი: დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება

პროგრამის აღწერა:

4.1

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსათავსებლად შეძენილი იქნება დეკორატიული სანაგვე ურნები და ნაგავმეკრები კონტეინერები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

დასუფთავების ღონისძიებები;

ა(ა)იპ – ქობულეთის სანდასუფთავება;

ნაგავმეკრები კონტეინერის შეძენა (200 ერთეული).



გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანება და გამწვანებულ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა.

პროგრამის აღწერა:

4.2

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სეზონური და მრავალწლიანი დეკორატიული მცენარეებით გაფორმება. ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქობულეთი დაბა ჩაქვი), ტროტუარების, სკვერებად და პარკებად დარეგისტრირებული ნაკვეთების მოვლა-პატრონობა, გაცეღვითი და დაწამლვითი სამუშაოები. ორგანიზაცია მოვლა-პატრონობას ახორციელებს მრავალწლოვანი ხეების და მარად მწვანე ხე მცენარეების, კონკრეტულად: გასხვლა, შეღებვა და დაზიანებული ხეების მოჭრით და გადაბეღვით სამუშაოებს. ერთწლიანი ყვავილებით ანაშენიანებს მუნიციპალიტეტის საუბრეებში მყოფ სკვერებს, ხდება მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით. ასევე ყოველიწლიურად მუნიციპალიტეტში ხორციელდება მრავალწლიანი ხე მეცარეების დარგვით სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

ა(ა)იპ – ქობულეთის გამწვანება

პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

5

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით პრიორიტეტულია, როგორც დაწყებითი და ზოგადი განათლება, ასევე სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები, სასწავლო პროცესის ხელშეწყობა.

სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანი:

სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

პროგრამის აღწერა:

5.1

სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვებში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვნად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საამდობრდლო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულად პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია სახელწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქობულეთის მოსახლეობისთვის.



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

ა(ა)იპ – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება;

საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ა(ა)იპ – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებებში განათლების სრულფასოვანი, გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის აღწერა:

5.1.1

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას, აღზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას, სამაშინაო-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებას, კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტებთან; მეთოდური მიმართულებების გაუმჯობესების მიზნით საბავშვო ბაღის აღზრდელთა სხვადასხვა საბავშვო ლიტერატურის შესყიდვას; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განათლების მიზნით ავეჯის, საოჯახო ტექნიკის, სამზარეულოს ქურჭლის, სხვადასხვა ქსოვილის ნივთებისა და სხვა საჭირო ინვენტარის შესყიდვას; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის მიზნით საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევებს.

საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 01 02)

ქვეპროგრამის მიზანი:

საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია, ბაღების კეთილმოწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლევდში საბავშვო ბაღის მოწყობა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალაში საბავშვო ბაღის მოწყობა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოში საბავშვო ბაღის მოწყობა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები.

5.1.2

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

6

სპორტის, ახალგაზრობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.



სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის მიზანი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება – პოპულარიზაცია

პროგრამის აღწერა:

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სკოლაში არსებული სპორტის სახეობაში მომეცადინე სპორტსმენთაგან ეროვნული ნაკრები გუნდების რეზერვის მომზადება, სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვთნელი პროცესის ორგანიზება, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

6.1

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

ა(ა)იპ – ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა;

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება;

სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა;

